გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 მაისიდამ წლის დამლევამდე, ფასი 7 მან. 25 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.


გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ქრისტინე**

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**

გამოცემული პ. გოგუაძისა და დ. ქლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**


ხუთშაბათს, 6 მაისს, ტფილისის სობრანიის საზაფხულო შენობაში (მიხეილის ქუჩა) ღარიბთა სასარგებლოდ ლიუტერანთა ქველმოქმედ საზოგადოების ქალთა დასის მიერ გამართულ იქმნება ლატარია. დასაწყისი 4 საათზედ. დაუკრავს ორი ხორო სამხედრო მუსიკასა. ლატარიაზე შესვლის ფასი 10 კაპ.

### სიტყვა თ. აკაკი წერეთლისა ნ. ბარათაშვილის დასაფლავებაზე *)

(ქუთაისის თავად-აზნაურობის წარმომადგენლისა.)

მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი,
განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს ამოსვლას ელოდეს
ტყეთა ფრინველი და ვარდი.
მინდა მზე ვიყო, რომ სხივი
ჩემსა გარემოს მოვავლო,
საღამოს მიტომ ჩავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო.

ეს ინატრა ახალგაზდა მგოსანმა ამ ნახევარ საუკუნის წინეთ და ეს ნატვრა წინასწარმეტყველებად გადაექცა: გახდა წინამორბედად ჩვენის ახალის ცხოვრების განთიადისა და იქ შორს, სამშობლოდან უცხოს მხარეს, მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინვებულიყო. ამას ვხედავთ და დღევანდელი ჩვენი შეგებება, გლოვა და ზარი-კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიაღ, არავის ეგონოსთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა, იმისი კუბოა ყველა ქართველის გული და ისე ხშირი, როგორც თვით მგოსნის მთელ საქართველოსადმი სიყვარულით ავსებული გულის-ძგერა. ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართველოს სხივი ჰფინოს და მართლაც რომ უკეთეს ადგილს ვერ გამოვძებნიდით. მართალია, ყოველი კუთხე საქართველოსი წმინდაა, მაგრამ ეს ადგილი, ეს დიდუბე წმინდა-წმინდათაა. აქ დაიდგა პირველად ძლევის გვირგვინი უპირველესმა ჩვენმა საისტორიო მნათობმა თამარ მეფემ. მართალია, დღეს დიდუბეს ის ფერი აღარ ადევს, აღარც ის ტაძარი, აღარც ის სასახლე, აღარც ის წალკოტია. ჟამთა მსვლელობამ, დროთა ვითარებამ ის გადაასხვაფერა, მაგრამ დიდებული ხატი-კი მაშინდელი შეუცვლელად დარჩა საქართველოს ხსოვნაში. აქამომდე ჩვენ წარმოვიდგენდით თამარს თავზედ ძლევა-მოსილ გვირგვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერის ჩანგით საკადრისი მისი მღერალი რუსთველი. დღეიდან უფრო დასრულებული იქნება ეს ხატი. მეორე გვერდით ედგომება ბარათაშვილი.

როგორც ამ შვიდასის წლის წინეთ დასავლეთ-საქართველოდან, ესე იგი იმერეთიდან, მოვიდა ხალხი, რომ თაყვანი ეცა დიდებულ თამარისათვის და საზოგადო საერო ლიტანიაში მონაწილეობა მიეღო, დღესაც მოვსულვართ იმერეთით, რომ ნიშნად სამარადისო ძმობისა და გაუყრელ ერთობისა დავადვათ გვირგვინი ბარათაშვილის კუბოს, გვირგვინი, შეკონვილი პერის თავ-თავისაგან, საგულისხმოდ მისა, რომ მგოსანი იყო უპირველესი მოესველი გონებრივის ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხისა—მთელ საქართველოსი. ნაყოფიერი იყოს ეს ხორბალი, როგორც დღემდე, ამიერიდანაც, რომელთანაც ერთად დაუვიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

—

### სიტყვა გ. წერეთლისა

(ქალ. ქუთაისის წარმომადგენლისა).

გიხაროდენ დიდებულო პოეტო, სახელო ივერიისაო, რამეთუ ძვალთა შენთა ბოლოს განისვენეს!.. სამშობლო მიწამ გაგიხსნა თვისი მკერდი და შეგიტკბო მშობლიურად. შენ ხარ, როგორც პოეტი, ზეცისგან აღნიშნული და, მოევლინე ერს წინასწარმეტყველად. პოეტებს შორის მხოლოდ უმაღლესს და უწარჩინებულესს დაჰყვება ეს ნაჭი და მაშინ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ იგია მოვლენილი თავის ხალხის საწინამძღვროდ.

მართლაც ნიკოლოზ ბარათაშვილი საოცრად ემზგავსება იმ წინასწარმეტყველებს, რომელნიც გამოუჩნდებოდათ ჟამითი-ჟამად ებრაელებს და იყვენ ჭეშმარიტის გზის მაჩვენებელნი, ჰქადაგებდენ ღვთის სიტყვას და წვრთნიდენ თავის ხალხს.

პირველი წინასწარმეტყველება ნიკოლოზ ბარათაშვილისა მის თავზედვე ახდა, ისე როგორც ქვეყნის მხნელმა იწინასწარმეტყველა თავისი ხვედრი. ორმოცდა რვა წელიწადი დაჰყო პოეტის ძვლებმა სამშობლოს გარედ, უცხო ქვეყანაში. ისინი ძრწოდენ სიცივეში და საშინელი ქარიშხალი ჭექა-ქუხილით და გრგვინვით აყრიდა მათ ცივს მიწას, რომელიც არ იყო მშობლიურ სიყვარულით გამთბარი. პოეტი, რომელსაც წინასწარმეტყველების ნიჭი აქვს ზეგარდამოცემული და არის დანიშნული ხალხის საწინამძღროდ, მრავალნაირ გარემოებას და ცხოვრების დაბრკოლებას უნდა გაუმკლავდეს. ესენი ელობებიან მას წინ, ხელფეხს უკრავენ, და, აი, აქ ატყდება ბრძოლა ჭეშმარიტების მქადაგებლისა დამაბრკოლებელ გარემოებასთან. ამ საშინელს ბრძოლაში მოსტყდება მას წელი, იჩაგრება ხორციელად და უდროოდ ჰკვდება, თუ რომ გარშემო არა ჰყავს თანამგრძნობნი, რომელთათვისაც იგი თავს იწირავს; მაგრამ მაგიერად სიტყვა მისი რჩება თესლად, რომ მომავლისათვის გამოიღოს შესაფერი ნაყოფი. აი ეს იყო პოეტის პირველი წინასწარმეტყველება თავის თავზედ. მეორე წინასწარმეტყველებაც საკვირვლად აუხდა. მან განთესა თესლი ცივს კლდეზედ. ეს კლდე დაიმსხვრა, დანაცრდა, შეჰქმნა ნოყიერი ნიადაგი მის მიერ განთესილ თესლისათვის. კლდე დაიმსხვრა, მაგრამ თესლი-კი არ წამხდარა. იგი ამოვიდა პოეტის მიერ შექმნილს ნოყიერს ნიადაგზე და, აი, ჩვენ ვხედავთ აქ დღეს მის ნაყოფსა. ქართველნო! ჩვენ რომ მხოლოდ დღევანდელის თანაგრძნობით დავკმაყოფილდეთ, ეს იქნებოდა ჩვენის მხრით დიდი უმადურობა ამ წარჩინებულის კაცისადმი. არა, ჩვენ

*) თ. აკაკი წერეთლისა და ბ-ნ გიორგი წერეთლის სიტყვები მხოლოდ დღეს შეგვიძლია გადმოვბეჭდოთ „კვალი“დგან. აქამდის ჩვენ არ გვქონია ხელთნაწერი ორატორთა.
რედ.

## ფელეტონი

### შირაქის ამბები

(თუშები და ფშავლები)

ჩვენს მტერთა ეგეთაი,
რომ თუშთ და ფშაველთ მაჰსვლია:
გალავან შემაჰრღვევია,
შირაქში ციხე დაჰშლია!
ტირიან მეცხვარეები:
უნდა ჩავცვივდეთ წყალშია! და სხვ.

ეს გახლავთ დაწყება ერთის ფშაურის, საკმაოდ გძელისა და ძველის ლექსისა. აქ მოყვანილი რამდენიმე სიტყვა, თქმული იმ დროს გამოჩენილის ვაჟკაცის და მეცხვარის სიკვდილის გამო, ეხლა ზედ-გამოჭრილია იმათზე, რომელთაც ამ ზამთარს შირაქის გულ-მკერდზე და კალთებზე დააბინავეს თავისი საქონელი: ცხვარი, ცხენი და ძროხა. მართლაც, ჩვენს მტერს. და მოავეს ისეთი საქმე, როგორც თუშთ, ფშაველთ და მათ ნამგალა (მეზობელ მეცხვარე) მეცხვარეთ წასულ მრავალ გზით შეჩვენებულ წლის ბოლომ უყო: ციხე-გალავანი შემოურღვია, რასაკვირველია, ციხე-გალავანი ქონებრივი, ცხარე ცრემლითაც მრავალი აატირა, გზაკვალიც ბევრს აურია და სამუდამოდ დააწყევლინა „ცხვრისა და მეცხვარის გაჩენის დღე. ზოგი, უბედურობისა და მწუხარების ვერ ამტანი, წყალსაც მისცა და მზიან ქვეყანასაც მოაშორა!

ჭეშმარიტად, ისეთი ზარალი მოუვიდა წელს შირაქის მეცხვარეთ, რომ სათქმელადაც ძნელია! როგორც ნამდვილად ამბობენ, ათასის სულის პატრონს ასი და ორასიც აღარა ჰრჩება. ბატკანი, მეტადრე ადრეული, ხომ სულ აღარ იზრდება. იმის მაგალითებიც არის, რომ ზოგი მეცხვარე სულ ცარიელი რჩება და ლიტაო ჯოხით და ბრუნდება შინ! ცხვარი ხომ დაილია და ილევა, ხეირი არც სხვა საქონელს დაეყარა, სულ მუსრი გაევლო, ნამეტნავ ცხენს. ერთი მეცხვარე შემომჩიოდა: ორმოც-და-ხუთი ცხენისა რვა-ღა შემრჩაო. დიდი ღვთის წყალობა იქნება, თუ წელს შირაქში რომელიმე მეცხვარე თავნზე გამოვიდაო, დაუმატა მანვე.

ამ ზარალს ზედ დაერთო შემდეგი აქედგანვე წარმომდგარი ზარალიც: დაინახა თუ არა მეცხვარემ,—რასაკვირველია, უდროო-დროს, როცა დანა და ყელი ერთად იყვნენ,—უბედურება მოუახლოვდა ჩემს ცხვარსაო, მაშინვე დაფაცურდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ფული, მომეტებულ ნაწილად, ივალა, იყიდა მამასისხლად საქონლის საჭმელი, აგებ კიდევ როგორმე ვუშველო ჩემს საწყემსოსაო, მაგრამ ეს ყველაფერი გვიან-ღა იყო: ცხვარი და საქონელიც დაელეპა, ვალად აღებული ფულიც დაეხარჯა და რკინის უღელივით დაედო კისრად ეხლა უსაქონლო, ცარიელ-ტატიელს მეცხვარეს! თუნდაც რომ გვიან არა ყოფილიყო საჭმლის მოშველება, მაინც დაელეოდა, რადგან დახოცვის მიზეზი, შიმშილის გარდა, სიცივეც იყო. კიდევ ისა, რომ ჩვენი მეცხვარე, როგორც ქართველი კაცი, იმის მაგიერ, რომ ვაჭარი თავის ფეხით მიდიოდეს მასთან და ეხვეწებოდეს: მატყლი მე მომყიდე, ამა და ამ ფასს მოგცემო, პირიქით, თვითონ მიდის მატყლის ვაჭართან, წინადვე ართმევს ფულს „ბედ“ და ფასსაც მაშინვე უკვეთავს, თუნდაც მატყლის მაზანდამ მომავალში ერთი-ორადაც აიწიოს. მაგალითად, ორასი სული ცხვრის პატრონი გაზაფხულზედ ხუთ თუმანს მაინც ართმევს ვაჭარს ბედ შემოდგომის მატყლში და თანაც ბარათს უწერავს: მოვალე ვარ, ჩემი მატყლი ამა და ამ ფასად მოგიწონოვო; უკეთუ გიმტყუვნო, ეს ფული ერთი ათად გადვიხადოვო. ცხადია, ეს წინადღითვე აღებული ბეი ძალიან საქმეს გაუჭირებს დაზარალებულ მეცხვარეებს და, ვინ იცის, ზოგის შვილის-შვილმაც ვერ შეჰსძლოს „ბეის“ თავნ-სარგებლის გადახდა!.. მეცხვარეთ ხომ გულები ჩასწყდათ თავის საქონლის და ჭირნახულის ზარალზე, ახლა რამდენს ადამიანს მეცხვარეთ ოჯახებში გაუმწარებს ლუკმას ცალკე ცხვრის ზარალი და ცალკე ცხვრების გამოსაკვებად აღებული ფული, ტყუილუბრალოდ დახარჯული, მერე ამ მოუსავლობის დროს,—ეს მკითხველმა გაითვალისწინოს!..

ამ სამწუხარო ზირალის მიზეზი, მეცხვარეების სიტყვით, ორი უმთავრესი საგანი ყოფილა: ყარაო, რომელიც შიმშილის შედეგია, და დურაღი, რომელიც სიცივემ იცის. როგორც კახეთში ახლო-მახლო მდებარე ადგილები, ისე შირაქიც გოლვამ გადაბუგა. ცხვრის საზრდო მური ბალახი (КОВЫЛЬ), რომელიც შირაქის მინდორმა იცის და რომელიც ფეხზე ნადგომი გახმება ხოლმე ზამთრისათვის, ზაფხულის სიცხემ მთლად მოშუშა, ბურნუთად აქცია. საუბედუროდ შემოდგომამაც დარები და მზიანი დღეები დაიჭირა და წვიმა, რომელიც ნოლის (შემოდგომით მოსული ახალი ბალახი) ამოსვლას ხელს შეუწყობდა, აღარ მოუშო. მთიდამ ჩამოსული გასუქებული ცხვარი შირაქში თან უბალახობამ, თან აუარებელმა ტკიპამ, რომელიც გოლვამ იცის, გააბეჩავა, გაალუბა, ყუაზე მიაყენა. ამ გვარად მოუძლურებულს ცხვარს და საქონელს შეუტია ამისთანა მძიმე და თოვლიან-ყინულიანმა ზამთარმა, როგორც წელს კახეთ-შირაქისაკენ

უნდა შევმოსოთ ზეცით აღბეჭდილი მისი შუბლი შარავანდედით, ჩვენ უნდა დავადგათ მას ნათლის გვირგვინი და ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ განვახორციელებთ საქმით მის აზრებს. მაშ დღეს ამ კუბოს წინ მივსცეთ ერთმანეთს სიტყვა, რომ ჩვენ მტკიცედ ავასრულებთ მის ანდერძს.

—

## სიტყვა ალექსანდრე ეპისკოპოზისა

არ გიცნობდი და ახლა, როცა ვხედავ ამდენს წარმომადგენელებს დ ამდენს პატივისცემას დიდისა და პატარისაგან, ქალისა და კაცისაგან, მხოლოდ ახლა შევიგნე შენი დიდი მნიშვნელობა. ჩვენში პოეტები ბევრნი ყოფილან, დავსწრებივარ იმათ დასაფლავებაზედაც, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვანი. მაგრამ ამისთანა პატივისცემა არავის ღირსებია. იმათ სცემდენ პატივს, როგორც დიდგვარიშვილებს, მაღალ ხარისხოვანის კაცებს და არა განსაკუთრებით, როგორც პოეტებს. აქ მე ჩემის თვალით ვნახე, ხალხმა რომ შენის ნაშთის წინაშე თავი მოიდრიკა და მუხლი მოიყარა, ქალებს რომ თავზედ ედგათ შენი კუბო და ისე მიჰქონდათ. შავისა და კასპიის ზღვის პირებიდანაც ბევრი მოვიდა შენ დასაფლავებაზედ დასასწრებად. ასეთი განუსაზღვრელი სიყვარული, აგრე თვალსაჩინოდ, ჯერ არავის რგებია წილად. ჩვეულებრივად, პოეტები დამღერიან სიყვარულს და ბუნებას, შენ-კი საგნად შენის პოეზიისა აირჩიე ერის მწუხარება, მისი გულის ტკივილი.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

განჯის გუბერნატორი იუწყება, რომ ჯებრაილის მაზრაში, სოფ. ამდურაჰმანბეკლუს 20 აპრილს ხოლერის მსგავს ავადმყოფობით გახდა 2 კაცი, ამათში 1 გარდაიცვალა და 1 რჩება; სოფ. მახმედლუს ავად გახდა 3 ქალი; ამაში ერთი გარდაიცვალა, ორი რჩება. სოფ. იაგლოვენდს ავად გახდა ორი ქალი, ორივე რჩება. სულ ავად გამხდარა 7 და გარდაიცვალა 2.

# ახალი ამბავი

⁂ თავმჯდომარე „თავად-აზნაურთა საზოგადოების ქალთა განყოფილების კომიტეტისა“, კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა გვთხოვს ჩვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა განუცხადოთ კნიაჟნა მარიამ გიორგის ასულს ერისთავისას, რომელმაც გამოგზავნა 191 მანეთი და 77 კაპეიკი, შეგროვილი წარმოდგენიდგან, რომელიც იყო მისგან გამართული გ. გორში განზრახულ დედათა სკოლის სასარგებლოდ.

⁂ განზრახვა აქვთ ბოტანიკურ ბაღში გამართონ სამეტეოროლოგიო სადგური. სადგურისთვის შენობის აგებას უკვე შეუდგნენ.

⁂ კავკასიის მკურნალთა მმართველობამ მისწერა ყველა გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს, ეხლავე მოახდინეთ განკარგულება, რომ შემოღებულ იქმნას ახალი ნიხრი აფთიაქის წამლებისათ. ეს ნიხრი შედგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და, როგორც მკითხველთ ეხსომებათ, თითქმის ნახევარზედ არის შემოკლებული ფასი ყოველგვარ წამლისა.

⁂ ჩვენ მივიღეთ კახეთში დამწვრობილთათვის წმ. ბარბარეს ეკკლესიის პრიჩეტნიკის გიორგი მათიაშვილისაგან 1 მან., უცნობისაგან 1 მ. ამ ფულისა აქამდე იყო 73 მ. სულ შესდგა 75 მან.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის ინჟენერი პუშეჩნიკოვი ამ დღეებში ჩამოვიდა პეტერბურგიდან ბათუმს და იქიდან ბორჯომს გაემგზავრა. შემდეგ ტფილისს ჩამოვა და შეუდგება კახეთის რკინის გზის გამოკვლევას.

⁂ გუშინ, 2 მაისს, საღამოზედ იყო კრება „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ წევრთა. კრებამ ამოარჩია კომისია სათავად-აზნაურო სკოლის ტიპის შესამუშავებლად. აი ვინა და ვინ იქმნენ ამორჩეულნი ამ კომისიის წევრებად: ივ. ევდ. გამყრელიძე, პეტრე ი. ყიფიანი, გ. დ. ქურული, დ. ი. მუსხელაშვილი, ივ. სვ. ჯაბადარი, თ. ივ. ზ. ანდრონიკაშვილი, თ. პ. ნაკაშიძე, ალ. ი. ბაქრაძე, ვას. ჩერქეზიშვილი, და ა. ტს. ფირალოვი.

ამ კომისიამ უნდა იმუშაოს სარევიზიო კომისიასთან ერთად. სარევიზიო კომისია, რომელშიაც 5 წევრი ირიცხება, წინადვე იქმნა ამორჩეული.

⁂ ნ. ბარათაშვილის დასაფლავების წინა დღეს ცალკე წიგნად დაიბეჭდა ბ-ნ ზ. ჭ—ძის მიერ ჩვენის პატივცემულის მოხუცის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის წერილი, რომელიც ნ. ბარათაშვილს შეეხება და დაბეჭდილი იყო გაზ. „დროებაში“ 1881 წელს. კ. ქ. მამაცაშვილი პოეტთან ერთად იყო სასწავლებელში და ბევრი რამ დახსომებია პოეტის ცხოვრების შესახები. ფასი ამ პატარა წიგნისა 5 კაპეკია.

⁂ ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ვასილ მასხულიასაგან სოფ. ტყიბულაში შეკრებილი 24 მან. სალიტერატურო ფონდის დასაარსებლად. ამ ფულისა აქამდე იყო 64 მან. 20 კ. სულ შესდგა 88 მან. 20 კაპ.

⁂ ფოთი: შაბათს, 1 მაისს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი და საღამო ჟამს გაიმართა ჩვეულებრივი ბურთაობა. მეგრელებმა ბურთი თავისის საზღვარზე არხეინად მიარბენინეს და გადააგდეს «ღელო». ჩხუბი და აყალ-მაყალი, როგორც ამ გვარ შემთხვევას ჩვევია, ხშირი იყო, მაგრამ უბედურება არა მომხდარა-რა.

ეს ერთი კვირაა, რაც აქეთ მშვენიერი და სანაქებო დარები სდგას. პირველ მაისსაც კარგი დარი იყო.

⁂ კავკავი: 25 აპრილს, ზოგიერთ აქაურ ქართველთა ინტილიგენტის თაოსნობით, ოსებ-ს საყდარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის სახელოვანის პოეტის ნ. ბარათაშვილის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ, როგორც აქაური ქართველი ინტელიგენცია, აგრედვე უბრალო ხალხიც. პანაშვიდის გადახდის შემდეგ ქართულ სკოლის მასწავლებელმა ლ. ბოცვაძემ წარმოსთქვა სიტყვა და განმარტა მნიშვნელობა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა.

⁂ ბათუმი: ბათუმში ცხოვრობს ერთი ქართველი მაჰმადიანთ ხოჯა, აჭარელი, კაპნასთაველი, გვარად შარაგიძე, რომელსაც პატარა სასწავლებელი აქვს გამართული და 30-დე ქართველ მაჰმადიანთა ბავშვებს ასწავლის ქართულ წერ-კითხვას.

⁂ კიევი: დღეს, 25 აპრილს, აქაურ უნივერსიტეტის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენის პოეტის განსვენებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად; გალობდა სტუდენტების ხორო. პანაშვიდს დაესწრო აქაური მოსწავლე ქართველობა და რამდენიმე გარეშე კაციც. სხვათა შორის თ. ი. ორ—ნი, რომელიც შემთხვევით აქ იმყოფება (განსვენებულის პოეტის ნათესავია).

⁂ გაზეთ „Кавк.“-ის სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს, კავკასიის მთავრობის თხოვნით, გადაუწყვეტია, წინად გადადებულ ფულის გარდა კიდევ 100,000 მანათი გადასდოს კავკასიისთვის ხოლერასთან საბრძოლველად, თუ წრეულს აქ გაჩნდა.

⁂ გაზეთი „მწყემსი“ სწერს: „ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ მაისის თთვეში დანიშნულია იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში. კრებამ, სხვათა შორის, ხელახლად უნდა განიხილოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან არსებულის პანსიონის დახურვის შესახები კითხვა. წინა კრებაზედ სამღვდელოებამ გარდასწყვიტა პანსიონის დახურვა. მაგრამ ამ დროს სასწავლებლის სამმართველოს არ წარმოუდგენია, თუ რა იქნებოდა საჭირო სასწავლებლის შესანახავად, როცა პანსიონი დაიხურებოდა. ეხლა სამმართველო დავალებულია შეადგინოს სასწავლებლის ხარჯთა-აღრიცხვა პანსიონის შესანახავად საჭირო ხარჯის გამორიცხვით და წარუდგინოს სამღვდელოების კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად.“

⁂ 2 მაისს ორთაჭალაში ბარხუდოვის დუქანში ტფილისის მცხოვრებელი მზარეული სერგეი ასლამაზიშვილი სიმთვრალის დროს წაეჩხუბა სოსო სულეიმანოვს და დანის შემოკვრა დაუპირა, მაგრამ ამ დროს სულეიმანოვი უცებ გასხლტა, ასლამაზიშვილი თავისის დანით მიწაზე დაეცა და ზურგში დაიჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს.

⁂ მაისის 1 სათადარიგო ეფრეიტორს თედორ შევცოვს ალექსანდრე-ნეველის ტაძრის გაქურდვა უნდოდა, მწუხრის დროს ეკლესიაში დაიმალა, მაგრამ გაუგეს და მალე შეიპყრეს.

## საჭირო განმარტება *)

ბოლოს წლებში საქართველოს არა ერთს კუთხეში დაარსდა სამკითხველო და ახლაც არსდება. პატარპატარა გონებრივი სალაროები თანდათან მატულობს, მრავლდება არა მარტო ქალაქებში, არამედ დაბებსა და სოფლებშიაც. ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, მეტად სასარგებლო დაწესებულებაა. კიდეც ამიტომ ეგებებიან სიხარულით ამ ნორჩს მოვლენას საზოგადოება და გაზეთები. მართლაც ეგ სამკითხველოები დიდს სარგებლობას მოიტანენ ხალხში, ძლიერ დაეხმარებიან მისს გონებრივს გამოფხიზლებას და განვითარებას, აგრედვე გრძნობათა გაკეთილშობილებასა, მაღალ მისწრაფებათა გაძლიერებასა, თუ იგინი მიიზიდავენ მრავალს მკითხველსა.

სამკითხველო, რომელსაც ესტუმრება, ისიც ხანდახან, მხოლოდ ორიოდე წიგნის მუშტარი, სასიხარულოა მარტო თავვებისათვის და მოაგონებს ეკლესიას, რომელსაც მლო-

*) ეს წერილი, „კვალში“ დაბეჭდილი, ავტორმა მცირეოდნად შესცვალა და ჩვენ გამოგვიგზავნა დასაბეჭდად.

რედ.

---

იყო: სიცივემ დურალი ჰკრა, შიმშილმა—ყარაო, და გაიჟუჟა ცხვარი და საქონელი.

დამეთანხმებით, რომ ადვილი ასატანი არ არის ასეთი ზარალი იმათთვის, ვისი ცხოვრებაც საქონელზეა დამყარებული, მერე ეხლანდელს ცეცხლის კიდებაში, როცა ცხვრის და სხვა საქონლის ყოლა და მოშენება ერთი ათად გაძნელებულია მის გამო, რომ საძოვარ ადგილ-მამულს, სათავადო იგი თუ სახელმწიფო, აუტანელი საიჯარო ფასი დაედო. წინად შირაქში ას სულ ცხვარზედ მანათიც არ იყო იჯარა, ეხლა შვიდი თუ რვა მანათია. ასე კიდევ საზაფხულო საძოვარი მთებზე. ცხვარ-მეცხვარის მთა-ბარობის დროს ხარჯს და დავიდარაბას-კი ნუღარ მეტყვით! საწყალმა მეცხვარეებმა შირაქიდამ თრიალეთის ან კავკასიონის მთებამდე სულ ჩხუბით ვაი-ვაგლახით უნდა იმგზავრონ: მუდამ დიდს შფოთში არიან მცხოვრებნი იმ ადგილებისა, რომლებზედაც ცხვარ-წყემსის სამგზავრო გზებია დადებული. ყოველი მეველე მგელზე ნაკლებ აღარ ექცევა საბრალო წყემსს, რომელიც, თუ ცხვარი ბილიკს გადასცილდა, უნდა გამოეთხოვოს ერთს მოზრდილ ბატკანს. ძალიან გადაჭარბებული არ იქნება ვსთქვა, რომ თუ მეცხვარე მაგარი და რიხიანი კაცი არ არის, რომელიც თითონაც მგელივით კბილს უჭერდეს თავის საწყემსოს ასე თუ ისე მტაცებლებს, ამ მთაბარობაში, სანამ შირაქიდამ მთაზე ავა და უკან დაბრუნდება, ცხვარი, ბეჯითად, გაუნახევრდება. აი, წყემსის ცხოვრების ამისთანა გარემოებათ ზედ ერთობა კიდევ ბუნების ასეთი მკაცრი სარბევი, როგორიც ამ ზამთარში თავს თაატყდა შირაქის მეცხვარეთ, და აბა როგორღა გაბედოს ყოველ მხრივ ათასჯერ გულ-გატეხილმა მეცხვარემ ხელ-მეორედ ცხვრის მოშენება!

ჩემის ფიქრით, ამ ზამთრინდელი ზარალი ცოტათი მაინც ასაცილებელი იყო, თუ რომ ჩვენმა კაცმა საზოგადოდ და კერძოდ მეცხვარემ წინდაწინვე ფიქრი და თავდარიგის დაჭერა იცოდეს და არ გაიძახოდეს: „რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ ამცდების“. ეს ძალიან პატიოსანი! ღმერთმა როგორც გაგვაჩინა, ისე დაგვარჩენს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი მეცხვარე მართლა ელის, აცა, ღმერთი ჩამოვა და ყურში ჩამძახებს: შენს ცხვარს რაიმე საშვალებით ტკიპი მოაშორე, თორემ ძალიან გააჯანდაგებს და დაჰხოცავს კიდეცაო; თბილი გომი ააშენე, თორემ ყინვიანი ზამთარი აპირობს ჩამოდგომას და ცხვარი დაგედურაღებაო; თივა და ბალახი მოიმარჯვე, თორემ მძიმე და თოვლიანი ზამთარი დაგეცემა თავს და ცხვარს შიმშილი ამოგიჟლეტავსო. არა, ეს ასე არ არის, და თუ ჩვენს მეცხვარეს ასე ჰგონია და ფიქრობს: ჩემის ცხვრის გამრავლება-დალევაში „საქმე ზენა“ ურევიაო, ეს სულ, რასაკვირველია, უცოდინარობით მოდის, და აბა უცოდინარობა ჩვენში სხვას ვის ეძრახება, რომ მეღორესა და მეცხვარეს ვუძრახოთ? უცოდინარობა მეცხვარეს როგორ დაეძრახება, მაგრამ იქნება თქვენ არ იცოდეთ, რომ იმ მეცხვარეთა შორის, რომლებზედაც მე ვლაპარაკობ, ცოტად თუ ბევრად, მცოდინარენიც ტრიალებენ, რომელთათვისაც, ჩემის ფიქრით, დიდი სირცხვილი და საძრახისია, რომ თავის მოძმე და ამხანაგთ, უცოდინარ მეცხვარეთ, ჩაგონებით არა ჰშველიან და საკუთარის ცხვრის მოვლით, მაგალითით მაინც არ უხელენ თვალებს! თუ არ იცით და არ გაგიგონიათ, რომ შირაქის მეცხვარეებში თითო-ოროლა მცოდინარეც მოიპოვება, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ.

შირაქის მუდმივი სტუმრები არიან თუშები და ფშავლები თავის ცხვრით და სხვა საქონლით. სხვა მთის ხალხები ან სულ არ დაიარებიან შირაქში და ან, თუ დაირებიან, ძალიან მცირედ. მოგეხსენებათ, რომ თუშები განიყოფებიან ორ ჯგუფად: ჩაღმებად და წოვებად. წოვები ცოდნით და ცხოვრებით ფშავლებზედაც და ჩაღმებზედაც გაცილებით მაღლა სდგანან. ისინი ძალიან ეტანებიან სწავლას და ვაჭრობას. ფშავლები იტყვიან ხოლმე: წოვები „სომხური“ ხალხია, ჩაღმები-კი „ჩვენ ფერებიო“. ფშავლებს და, ვგონებ, ჩაღმებსაც ორი სამი კაციც არ მოეპოვებათ, „სკოლაში ნასწავლი“, წოვებს-კი ათობითა ჰყავთ თვით უმაღლეს სწავლა ნასმენებიც-კი. ეხლა ფშავლებსა და ჩაღმებს ათი ბავშვიც არ მოეძებნებათ სხვა და სხვა სასწავლებლებში, წოვებს-კი ოცობითა ჰყავთ სასწავლოდ მიბარებულები... მთის კაცი და უფრო წოვა თუში, როცა გაივლის სასწავლებლებს, იგემებს სამოქალაქო სამსახურსაც, ისევ შინაურ თავისუფალ ცხოვრებასა რჩეობს, ბრუნდება ოჯახში და ჰკიდებს ხელს იმ საქმეს, რომელსაც მისი შინაურები მისდევენ. ამ ჟამად საშვალ სწავლა მიღებული წოვა თუშთაგანი რამდენიმე კაცია მეცხვარედ. მე ვაქებ და თანავუგრძნობ წოვების ასეთს საქციელს, ხოლო ის-კი აღარ მიმაჩნია საქებურად, რომ შეგნებული მეცხვარე თუშები, რომელთაც, სწავლის წყალობით, ეხლანდელი ცხოვრების ავ-კარგი გაეგებათ, არავითარს წინამძღოლობას არ უწევენ, არავითარს მაგალითს ცხვრის მოვლა-მოხმარებისას არ აჩვენებენ უცოდინარ მეცხვარეთ... სწავლის სურვილი და მისი შეძენა ძალიან საქებური ზნეა, ვისაც უნდა ჰქირდეს, ხოლო სწავლის შუქით სხვა უმეცარ მოძმეთათვის, შეძლებისა დაგვარად, ბნელი გზის არ განათება-კი მეტის-მეტი გულშაობაა, ჩემის ფიქრით!

ფშავლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლი არ ეკარება. რა გინდ მშვენიერი იყოს ეს ეკკლესია, იგი არავის არ აცხონებს, თუ მუდამ ცარიელი სდგას და მასში არ გაისმის ლოცვა და ვედრება ქრისტიანთა. სამკითხველოც მხოლოდ მაშინ არის მაცხონებელი კაცის გონებისა, რომელსაც მას ისევე ეტანება მკითხველი, როგორც თაფლს ბუზი. ხოლო სიმრავლე მკითხველებისა უმთავრესად დამოკიდებულია სკოლებზედ, მათ მოწყობილებაზედ, მათ სწორე გზით მსვლელობაზედ, პედაგოგიურად მოქმედებაზედ. რავდენიც ბევრია სკოლა და უკეთ არის მოწყობილი, იმდენად მეტი სტუმარი ჰყავს სამკითხველოებსა, იმდენად უფრო სრულიად ასრულებს თავის დანიშნულებასა, უფრო მეტი ნაყოფი მოაქვს. მაშასადამე, საქმე იმაზედ არის მიმდგარი, ჩვენი სკოლები როგორს გზაზედ არიან დაყენებულნი? შეუძლიანთ მათ უმზადონ საკმარისი მკითხველები სამკითხველოებსა, თუ არა?

საერო სკოლებზედ ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, ხოლო სამრევლო სკოლებს-კი ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს, რადგანაც ახალი დაწესებულებაა და ჯერედ არ მიუქცევია მისი ჯეროვანი ყურადღება. თვითონ სამოსწავლო გეგმა ხეირიანად არა აქვთ გაცნობილი არამც თუ ერის კაცთა, არამედ თვითონ სამღვდელო პირთა. ამის გამო მოვიწადინეთ მოკლედ განვმარტოთ სამოსწავლო გეგმა, სასულიერო მთავრობისაგან დადგენილი სამრევლო სკოლებისათვის, და ვუჩვენოთ ხარისხი მისი შესაბამობისა, გამოსადეგობისა.

სამოსწავლო გეგმა სამრევლო სკოლებისათვის შედგენილია განსვენებულის მთავარ-ეპისკოპოზის პავლეს ექსარხოსობის დროსა. მახლობელი მონაწილეობა ამ საქმეში მიიღო აწინდელმა მზრუნველმა სწავლა-განათლებისამ ბატონმა იანოვსკიმ. გეგმა, ამ ორის პირისაგან შედგენილი, დამტკიცებულ იქმნა უწმინდესის სინოდისაგან სექტემბრის 27-ს 1885 წელსა, № 3334, და სავალდებულოდ აღიარებულია საექსარხოსოში.

ამ გეგმით ერთ კლასიანის სამრევლო სკოლებისთვის საექსარხოსოში დადგენილია სამის წლის კურსი, ერთის წლით უფრო გძელი, ვიდრე რუსეთში, სადაც ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა შედგება მხოლოდ ორის წლის კურსისაგან. ეს მესამე წლის მიმატება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რუსეთში მხოლოდ დედა-ენას ასწავლიან, სავალდებულო საგნებად გეგმაში დასახელებულია: საღმრთო სჯული, ქართული წერა-კითხვა, რუსული ენა, არითმეტიკა და საეკლესიო გალობა. ყველა ამ საგნების სწავლება განწესებულია კურსის დაწყებიდან მის გათავებამდე. გაკვეთილი დღეში ხუთია დანიშნული და თვითეული გაკვეთილი თითო საათს გასტანს. სწავლის ენად გეგმა აღიარებს ქართულს ორის წლის განმავლობაში, ხოლო მესამე წელიწადს რუსულს ქართულის დახმარებით. რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს პირველის წლის იანვრიდან ზეპირ-სიტყვაობით, ესრედ წოდებულ ლექსიურის გაკვეთილების შუამავლობით, მეორე წლიდგან-კი იწყება რუსული წერა-კითხვის შესწავლა და განგრძობა კურსის ბოლომდის.

გაკვეთილებ საგნებს შორის ამ სახით არის განაწილებული: საღმრთო სჯულს აქვს დათმობილი პირველი გაკვეთილი ყოველ დღე. ქართულს წერა-კითხვას მეორე და მესამე გაკვეთილი აგრეთვე ყოველ დღე, რუსულს ენას მეოთხე გაკვეთილი, ხოლო მეხუთე გაკვეთილი ოთხ დღეს არითმეტიკას აქვს ნარგუნები და ორს გალობასა (учеб. планъ церковно-приходскихъ школъ грузинскаго экзархата стр. 4). ეს განაწილება ყველაფერზედ უფრო საყურადღებოა. გეგმაში უარყოფილა როგორც ხუცური, ისე სლავიანური და სამართლიანადაც, რადგანაც პირველ დაწყებით სკოლაში მათი შეტანა სწორედ ბაბილონის არევას ენებისას და ანბანებისას დახატავდა, ყოვლად აუტანელ ტვირთად გარდაექცევდა სწავლის საქმესა და პირქვე დაამხობდა სამრევლო სკოლასა.

აქ საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ სამრევლო სკოლების გეგმა მეორე უცვლელ გამოცემით დაიბეჭდა სასულიერო მთავრობის მიერ შარშან, 1892 წლის დამლევს.

თუ ამ გეგმას სამრევლო სკოლებისას შევადარებთ საერო სკოლების გეგმასა კავკასიისათვის დადგენილს მთავრობისაგან, აღმოჩნდება, რომ ორნივე ერთნი არიან, გარდა მცირეოდენის განსხვავებისა. აი ეს განსხვავება: საერო გეგმით რუსული ენა იწყება პირველის წლის იანვრიდგან, სამრევლო გეგმითაც ასე იწყობოდა, ვიდრე სამის წლის წინად ცალკე გადაწყვეტილობის ძალით, რომელიც დამტკიცებული იქმნა სინოდისაგან, ლექსიურად სწავლა რუსულ ენისა არ განწესდა უფრო ადრე, სახელდობრ სექტემბრიდგან. საერო გეგმაში გაკვეთილები არ არის განაწილებული საგანთა შორის, თუმცა-კი აშკარად იგულისხმება დაახლოვებით იგივე განაწილება სამრევლო გეგმისა, რომელიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. საერო გეგმაში რამდენჯერმე არის გამეორებული ერთი მეტად სამართლიანი და მიმზიდველი აზრი, სახელდობრ ისა, რომ საღმრთო სჯული დედა-ენაზედ უნდა ისწავლებოდეს მთელის კურსის განმავლობაში, პირველს, მეორეს და მესამეს წელსაო. ცხადია, თუ რად მიუნიჭებია გეგმის შემადგენელს საღმრთო სჯულისათვის ეს უპირატესობა. საღმრთო სჯული არითმეტიკას როდი ჰგავს, მასავით მარტივი საგანი არ არის, იგი შედგება ღრმა და რთულ აზრებისაგან, რომელთა შესაბამი გამოხატვა და ჯეროვანი შეთვისება შეიძლება მხოლოდ იმ ენით, რომელიც ბავშმა უკვე კარგად იცის, და სადაც ყოვლად უძლურია ენა, რომელსაც ბავშვი ახლად სწავლობს. მხოლოდ დედა-ენას შეუძლიან ჩაუნერგოს ბავშვს გონებასა და გულში საღმრთო ისტორია და კატეხიზმო და გახადოს იგი ნამდვილი ქრისტიანი.

ახლა ვიკითხოთ: შეიძლება ამ გეგმაზედ აშენებულმა სკოლამ ნაყოფი გამოიტანოს, ჩვენს ხალხს მიანიჭოს კარგის ქართულის წერა-კითხვის ცოდნა და წიგნების კითხვა გახადოს მისთვის ნამდვილ მოთხოვნილებად? თუმცა ჩვენებურის სკოლის კურსი ერთი-ორად მოკლეა, ვიდრე ევროპაში, თუმცა სხვა-და-სხვა გარემოებანიც ხელს უცარვენ ხალხის განათლების საქმესა, —მაგრამ ჩვენს სკოლას მაინც შეუძლიან თავის უმთავრეს დანიშნულებას მიაღწიოს და გვარიანი ცოდნა ქართული წერა-კითხვისა გამოატანიოს თავის მოწაფეთა. ეს იმედი დამყარებულია ორს საფუძველზედ: ჩვენი ანბანი უსრულესი ჲ უმარტივესი ანბანია ყველა ანბანთა შორის და ხმის მეთოდი (звуковой методъ) არც ერთს სხვა ანბანზედ არ არის ისე გამოჭრილი, როგორც ქართულზედა. ამიტომ ქართულის წერა-კითხვის შესწავლა ერთი-ორად უფრო ადვილია ქართველებისათვის, მეორე საფუძველი ის გახლავს, რომ სამისავე წლის განმავლობაში ქართულს ენას გეგმით დათმობილი აქვს ყოველ დღე ორ-ორი გაკვეთილი თვითეულს განყოფილებაში, კვირაში თორმეტი გაკვეთილი და ოც-და-თერთმეტი გაკვეთილი სამსავე განყოფილებაში. ეს საკმაო დროა ჯეროვანის შეთვისებისათვის; მაგრამ თუ ამ დროს შევამოკლებთ, შევამცირებთ ქართულის ენის გაკვეთილებს, მაშინ-კი უნაყოფობა სკოლისა, მისი უძლურება, გამოუსადეგრობა აუცილებელი შეიქმნება. აი რად არის ფრიად საჭირო სასტიკად დაცულ იქმნას ხსენებულის გეგმის აღნიშნული მოთხოვნილება. აქ რომ საქმეს ცოტაოდნად შეეპაროს ესრედ წოდებული უგუნური ერთგულება (усердіе не по разуму), აქაური სკოლები ჩვენს იმედს უსათუოდ გააცრუებენ, სიკეთის მაგიერად ბოროტს შეგვძენენ, პურის ნაცვლად ღვარძლს მოგიყვანენ მოსავლად.

კალმახელიძე

## დაბა ჲ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ალი** (გორის მაზრა). 3 აპრილს დაბეჭდილი იყო თქვენს გაზეთში წერილი რედაქციის მიმართ ბ-ნ დ. ჯანუევისა, რომ ჩემს სახლს ვუთმობ სამრევლო სკოლას ორის წლის ვადით სრულიად უსასყიდლოდაო, თვითონ მევე ჩემის ხარჯით შევაკეთებ ორს დღეში და მზა-მზარეულს ჩავაბარებ სოფელსაო. მეორ-მესამე დღესვე, ესე იგი, 5 აპრილს, საქართველოს საეპარქიო საბჭოს, რომელიც განაგებს სამრევლო სკოლების საქმეს ჩვენს ქვეყანაში, მოეხდინა შესაფერი განკარგულება და მის თავმჯდომარეს ტფილისის სემინარიის რექტორს არქიმანდრიტს სერაფიმს ებრძანებინა ამ სკოლაში მასწავლებლად დანიშნულ სფ. მთვარელიშვილისათვის, წადი სოფ. ალში, ჩაიბარე სახლები ბ-ნ დ. ჯანუევისა და გაჰმართე სკოლაო. მასწავლებელი 6 აპრილს ამოვიდა აქ სადამო ჟამს და გამოუცხადა სოფელს, რომ მთავრობამ მე დამნიშნა მასწავლებლადაო. 7 აპრილს დიდი უქმე დღე იყო სომეხთათვის და იმ დღეს ბ-ნ ჯანუევისაგან აღარა გაკეთდებოდა-რა. 8 და 9 აპრილს-კი შენობა დასცალა, შეაკეთა, გაჰმართა, თუ რამ აკლდა და 10 აპრილს, სრულიად გამზადებული ჩააბარა მასწავლებელსა და მღვდელს მამასახლისის თანადასწრებითა. რადგან იმ ჟამად პარტები მზად არ იყო, ამიტომ სწავლა დაიწყო მხოლოდ 14 აპრილს. პირველადვე 37 ყმაწვილი მიაბარეს სკოლაში. მასუკან რიცხვი შეგირდებისა თანდათან მატულობს და მალე 60-მდე ავა. შენობა ისეთი კარგია, მოხერხებული და ფართო, რომ თუნდა 70—80 შეგირდი დაეტევა.

## წვრილი ამბავი

11 აპრილს ქ. ბერლინში, „ბელვიუს“ ბაღში ჰაეროსტატით აფრინდა ამერიკელი ვილსონი. ჰაეროსტატი მსწრაფლ ავარდა ცაში, მაგრამ უცბად ცეცხლი წაეკიდა. შიგ მჯდომმა ვილსონმა სიმხნევე არ დაჰკარგა, მოხსნა ჰაეროსტატს პარაშუტი, და ჩამოუშვა. პარაშუტი ტყვიასავით წამოვიდა და ვილსონი შიგ მდინარე გაფელში ჩავარდა. ვილსონმა არც აქ დაჰკარგა სიმხნევე და მანამ ნავებით მიეშველებოდნენ, ცურვით მიაღწია ნავებამდის. გამოიყვანეს, მაგრამ ძლიერ დაშავებულია თურმე, კანი დამწვარი აქვს. ვილსონი ბერლინის საავადმყოფოში გაისტუმრეს. ამბობენ „ბელვიუს“ პატრონი უარს ეუბნება, დაპირებულ ფულს არ მოგცემ, რადგანაც წარმოდგენა მომიცდაო.

— კოლუმბიის რესპუბლიკაში ამ ცოტა ხანში ჩაიქცა ცეცხლის მფრქვევი მთა აოტარი. რამდენსამე კვირას ეს მთა ცეცხლს აფრქვევდა. ერთბაშად მიწა საშინლად იძრა, აოტარი უფრო და უფრო უმატებდა ცეცხლის ფრქვევას და ამ მთის წვერი „კურც ლომა“ უცბად შთანთქა დედამიწამ. ახლო-მახლო მცხოვრებნი ძლივს გადარჩნენ. მხოლოდ თორმეტი კაცი ჩაიტანა თან. ქვა-ღორღი გადაეღობა სამ მდინარეს, წყალი შეგუბდა და რამდენიმე სოფელი კიდეც წაილეკა. მათ შორის სოფ. „კუკა“. მცხოვრებნი უსაჭმლობისაგან იხოცებიან. სიმშილისაგან ხალხში ხახადი გაჩნდა.

— პარიჟში, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდგან სჩანს, ამ ჟამად 242,000 უცხოელია. ამათში 65,000—ბელგიელი, 38,000 გერმანელი, 35,000 იტალიელი, 34,000 შვეიცარიელი, 18,000 ლუკსემბურგელი, 18,000 ინგლისელი, 11,000 რუსი, 8,000 ავსტრიელი, 5,000 ჰოლანდიელი, 4,000 ისპანიელი და 3,000 ამერიკელი.

— ბერლინის ერთს თეატრში წარმოადგინეს ერთი პიესა და სცენაზედ გაჰმართეს ჭექა-ქუხილი ჲ ელვა. ერთს მოსამსახურეთაგანს გულმა არ მოუთმინა და ცნობის-მოყვარეობა აღძრულმა ხელი წაატანა ელექტრონის მანქანას მაგრამ ეს ცნობის-მოყვარეობა იაფად არ დაუჯდა.

ელექტრონის ძალამ დაჰკრა და საბრალომ იქვე სული განუტევა.

— ამერიკაში ოგაიოს გუბერნატორს გამოჩენილ მაკ-კინლეის საკანონმდებლო საბჭომ წარუდგინა ხელის მოსაწერად ახალი პროექტი. ამ პროექტის ერთ მუხლში ნათქვამია: ცოლიანი კაცი თუ ახალგაზდა ქალს გაუარშიყდა და მოატყუა, უცოლო ვარო, დაეკისროს ჯარიმად სამასი დოლლარი, ან ექვსის თვიდგან ორ წლამდე ციხეში დაპატიმრებაო. პალატას სურდა ესევე კანონი ქალებზედაც დაეწესებინა, მაგრამ სენატორებმა უარჰყვეს ეს წინადადება იმ მოსაზრებით, რომ ეს სუსტი და მშვენიერი არსება ვერ შესძლებს ამ კანონის ასრულებასაო.

## გასართობი

ამ ბოლოს დროს ყველა რკინის გზის მმართველობა სასტიკად სდევნის ესრედ წოდებულ „ზრუცაიანებს“, ე. ი. უბილეთო მგზავრებს. ერთ პატარა ქალაქიდგან მატარებელში უბილეთოდ ჩაჯდა ერთი ისრაელი.

მატარებელი დაიძრა.

— თქვენი ბილეთი? — ჰკითხა ისრაელს კონდუქტორმა.

— ბილეთი? დავკარგე.

მიუახლოვდა თუ არა პირველს სადგურს მატარებელი, საბრალო ისრაელი მატარებლიდგან ჩამოსვეს და ერთიც კისერში უთავაზეს.

— კრივი შემოუღიათ? - იფიქრა ისრაელმა. დაუცადა შემდეგ მატარებელს და ისევ უბილეთოდ ჩაჯდა

— ბილეთი! სთქვა კონდუქტორმა.

—ბილეთი? ღმერთ გეფიცები, დავკარგე.

კიდევ ჩამოსვეს მატარებლიდგან და კიდევ კისერში უთავაზეს. მოუცადა მატარებელს და ისევ უბილეთოდ ჩაჯდა.

— საით მიემგზავრებით? - ჰკითხა ისრაელს ერთმა მგზავრმა

— საით? - თუ კისერმა გამიძლო, ოდესაში ვაპირებ წასვლას, დაღონებით უპასუხა ისრაელმა.

## წერილი რედაქციის მიმართ

I

გიგზავნით ჩვენ-მიერ ტფილისში ხელის მოწერით შეგროვილ 24 მანეთს და გთხოვთ, ეს სულით და გულით გამოღებული წვლილი მიუმატოთ ქართველ ლიტერატორთა დასახმარებელ ფონდს, რომლის დასაარსებლად ისეთი გრძნობიერი წერილი უძღვნა ბ-ნმა დ. ხ. ამა წლის „ივერიის“ მე 5 ნომერში, და მას აქეთ ცოტ-ცოტათი მალ-ღონე ემატება ამ კეთილს საქმეს. გარდა ამისა, დიდად სასურველი იქნება, რომ ეს ფონდი დაარსდებოდეს, როგორც ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა გვირჩევს, ჩვენის დიდებულის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობაზე. მას შემდეგ უეჭველად ეს ფონდი ერთი ათად და ერთი ასად იმატებს, რადგანაც ყველა ჭეშმარიტი ქართველი და სხვა ტომიც დიდ პატივს სცემს უკვდავს პოეტს და მასთან ღარიბ ლიტერატორთა საქმესაც ეშველება.

თქმა არ უნდა, ჩვენი პატივცემული ინტელიგენცია და შეძლებული კაცები მაგალითს უჩვენებენ მდაბიო ხალხს და უხვად შესწირავენ ამ კეთილს და უსაჭიროესს საქმეს. მას შემდეგ მდაბიო ხალხსაც გაეხსნება სურვილი და ისინიც მიბაძვენ მათს მაგალითს და ყოველი კეთილი საერთო საქმე კეთილადვე დამთავრდება და, როგორც პეტერბურგის სალიტერატურო ფონდს აქვს ამ ჟამად მეოთხედი მილიონი მანეთი, ჩვენც დიდი თანხა გვექნება და, დავითაშვილსავით, სიმშილით არ დაგვეხოცება ნიჭიერი პოეტები და მწერლები.

აი სია შემომწირველთა:

დ. ნ—ვმა 2 მანეთი, დავით პეტრუსიანცმა 3 მ., თავ. მიხეილ ხიდირბეგიშვილმა 3 მ., ელისაბედ აბულაძისამ 1 მ., ქალია აგიაშვილისამ 50 კაპ., ვასილ მასხულიამ 3 მ., როსტომ ჩხეიძემ 1 მ., ივანე ავნატამოვმა 1 მ., ივანე აგაბაბოვმა 1 მ., არშაკ მამულიანცმა 1 მ., სანდრო ასლანოვმა 1 მ., მიხეილ ფეიქაროვმა 50 კ., მ. ბ—მემ 50 კ., სიმონ ქაჯაიამ 50 კ., თედორე ლალამემ 30 კ., ბიჭია ჯაბიძემ 1 მ., გრიგოლ კაჭკაჭოვმა 1 მ., ალექსანდრე დვენეფაძემ 20 კ., სტეფანე ტყემელაშვილმა 20 კ., გრიგოლ კემულარიამ 1 მ., ილიანე ხორავამ 30 კ., გრიგოლ მეგრელიშვილმა 40 კ., პ. კიზირიამ 40 კ., იოსებ ერიოქემ 20 კ. და მ. უუბარაძემ 20 კ.,

სულ 24 მან. და 20 კაპ. 20 კაპ. გამოსაგზავნად დიხარჯა და 24 მანეთს ამასთან გიგზავნით.

ვასილ მახხულია

1893წ. 28 აპრილი. სოფ. ტყიბულა.

---

II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნთ ლევან ხოსოს ძეს მამულაშვილს, რომელმაც გამოუგზავნა სანუქრად რწმუნებულ ჩემდა დვაბზუის სასოფლო სკოლის მოსწავლეებს 46 ქართული წიგნი, და გიორგი ალმასხანის ძეს ხუტულაშვილს, რომელმაც შემოსწირა იმავე სკოლის ბიბლიოთეკას ერთი ნომერი ჟურნალისა „Рус. Богатство“.

დვაბზუის სასოფლო სკოლის მასწავლებელი ალ. ბახთაძე.

---

# დეპეშა

1 მაისი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ საზღვარ გარეთიდგან უკვე დაბრუნდა.

Гражданинъ-ი იუწყება, რომ მომავალ კვირას სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროექტს არაყის მონოპოლიის შემოღების შესახებ ოთხ აღმოსავლეთ გუბერნიაში.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ 309 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 267-ისა შეიწყნარა ირლანდიის ბილლის პირველი მუხლი. კამათობის დროს რეისმა და ბოლტონმა განაცხადეს, რომ რადიკალებმა ეს მუხლი მხოლოდ იმ პირობით შეიწყნარეს, რომ ბილლის დანარჩენ მუხლების განხილვის დროს სახეში იქონიონ იმპერიის პარლამენტის პირველობა და შესცვალონ დადგენილება იმპერიის პარლამენტში ირლანდიელ დეპუტატთა შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში რადიკალები კანონ-პროექტის წინააღმდეგ იმოქმედებენო.

ინგლის-სომეხთა მოკავშირეთ სადილი გამართეს მინისტრის ბრეისის პატივის საცემლად. მინისტრმა მეტად გატაცებული პატრიოტები გააფთხილა, სარევოლიუციო მოქმედებას ერიდეთო. „ინგლისიო, სთქვა ორატორმა, მუდამა სცდილობს, შეასრულოს თავისი მოვალეობა, რომელიც დააკისრა ბერლინის ტრაქტატმა. ბრეისს სურს მიაქციოს ხონთქარის ყურადღება იმ საფრთხეს, რომელიც მოელის მას იმის გამო, რომ დაპირებულ რეფორმების აღსრულება დიდხანს დააგვიანა.

2 მაისი

**პეტერბურგი.** გასულ კვირას სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებამ განიხილა პროექტი შესახებ იმისა, რომ ქირით გაცემულ სახლებზედ გარდასახადი შემოიღონ.

**პარიჟი.** პრეზიდენტი სენატისა შალმელ ლაკურის სადილად იყო ფინანსთა მინისტრ პეიტრალთან. ამ დროს ჭაღი ჩამოვარდა და პრეზიდენტი მძიმედ დაშავდა. ჭრილობა საშიში არ არის.

**ვენა.** იმპერატორის ალექსანდრეს სახელობაზედ დაარსებულ ქვეითა ჯარის პოლკის აფიცრებმა გამოსამშვიდობელი სადილი გაუმართეს რუსეთის აგენტს პოლკოვნიკ ზუევს, რომელიც სხვა ადგილას გადიყვანეს. პოლკის კომანდირმა პოლკოვნიკმა ბალასმა დალია სადღეგძელო ხელმწიფე იმპერატორისა. აფიცრები ამ სადღეგრძელოს აღტაცებით მიეგებნენ; შემდეგ პოლკოვნიკმა ზუევმა დალია სადღეგრძელო იმპერატორის ფრანც-იოსებისა და თანაც ილაპარაკა ავსტრიის აფიცრების რაინდობაზედ.

**პარიჟი.** დოდსი დღეს მოვიდა. ხალხი აღტაცებით მიეგება. გაზეთები ხალხს ურჩევენ გადამეტებულ აღტაცებას ნუ მიეცემით, რადგანაც, თუმცა დოდსი ძლიერ დიდის ნიჭის პატრონია, მაგრამ არც თუ ისეთი სარდალია, როგორც ტიურენი ანუ ბონაპარტე იყვნენ, და ნურც ახალ ბულანჟედ მიიჩნევთო.

„Gaulois“ ამტკიცებს, ვითომ დედოფალს ვიქტორიას განზრახვა ჰქონდეს ხელი აიღოს ტახტზედაო.

პეტერბურგის ბირჟა, 30 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,69 | 7,73 | — ,, |
| ოქროს კუპონები | 153³/₄ | 154,83 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 243³/₄ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 221¹/₄ |
| 4°/₀ მესამე სესხისა | — ,, | 99³/₈ | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 194³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ | 101 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ | 100¹/₄ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ | 100¹/₄ | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¹/₂ | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

**ფ—ს. ს—ლს.** ყურადღებით გადვიკითხეთ თქვენი მოწერილი ამბავი, მაგრამ საყურადღებო მაინც ვერა ვიპოვეთ-რა შიგ და ამიტომ ვერა ვბეჭდავთ.

**ა. ს—ს. უ—ნს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ძ. ს—ს. გ. ნ—ს.** თქვენს მოწერილს ამბავს შემოკლებით დავბეჭდავდით, რომ მოხსენებული გქონოდათ, სად მოხდა ეგ ამბავი.

**თ. ჭ—ძეს.** თქვენს კორრესპონდენციაში საყურადღებო ვერა ვპოვეთ-რა და იმიტომ ვერა ვბეჭდავთ.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—51)

---

ახალ-სენაკში

კ. თავართქილაძის ახალ სტამბაში დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები ისყიდება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სცენების დამატებით, მშვენიერი ყდით, ფასი 1 მ.

2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ.

3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ.

4) „ვეფხის-ტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.

5) „რამდენიმე მოთხრობა“, ნინოშვილისა, 50 კ.

6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ.

37) „ზანგის სამკვიდრო“, თარგმანი დათიკო ვერმიცანაშვილისა, 10 კ. და სხვა-და-სხვა წიგნები.

---

დაიბეჭდა და გაიგზავნა გასასყიდად სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაბებში

## ლექსები სილოვანისა

ფასი ათი შაური. (6—6)

---

## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათ სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, 12¹/₂—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუჩინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ძოძლო თუთაევის
### ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
### ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20°/₀-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—11)

ალ. თუთაევი

---

## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5°/₀-იანი **მომგებიანი ბილეთები I, II, და III** სესხისა თთვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—18)

აგენტი დ. ქ. თუთაევი.


Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Мая 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.